დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის წლიური სასწავლო გეგმა

N	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	ტრენინგის ხანგრძლივობა	სწავლების პერიოდი/ კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)	დაფინასება სხვა წყაროდან
1	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	**I**	მუნიციპალური სამართლის ცნება და წყაროები. მუნიციპალური სამართლებრივი ურთიერთობები და მისი სუბიექტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლები. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური და ეკონომიკური საფუძვლები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შეჩერებისა და მათი დათხოვნის, უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.	**600**	
2	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და ანგარიშგება	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	**I**	ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების პროცესი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები. ბიუჯეტის გადასახდელები. პრიორიტეტების დოკუმენტი, საბიუჯეტო მიზნობრივი პროგრმების შედგენა და პროგრამული ბიუჯეტირება. ტრანსფერები, ადგილობრივი გადასახდები და მათი ადმინისტრირება, სესხი და გრანტი.	**600**	
3	ფინანსური მართვა და ბუღალტერია	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	**I**	ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება. აქტივების აღრიცხვა. ვალდებულებების აღრიცხვა. დაფინანსებისა და შემოსავლების აღრიცხვა. ხარჯების	**600**	

						აღრიცხვა. არასაოპერაციო შემოსავლების და არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა. კაპიტალი და საცნობარო მუხლები. ფინანსური ანგარიშგების ფორმების შევსება.		
4	მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	**I**	მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის საკითხთა მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მუნიციპალიტეტის ქონება, მისი კატეგორიები. მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროები. ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, ატონომიურ რესპუბლიკებთან და სხვა სუბიექტებთან. მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ქონება. რას მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების მართვა და განკარგვა. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, ფორმები და წესი. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, ფორმები და წესი. წილებისა და აქციების განკარგვის ფორმები და წესი.	**600**	
5	ადმინისტრაციული წარმოება	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	**II**	საჯარო ინფორმაციის გაცემა და პროაქტიულად გამოქვეყნება, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. გადაწყვეტილების მიღება. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება. საჯარო რეესტრის წარმოება. საჯარო ინფორმაციის თაობაზე ანგარიშის წარდგენა/გამოქვეყნება.	**600**	
6	მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	**II**	მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების საჭიროება და მნიშვნელობა. მომსახურების ძირითადი პრინციპები და სტანდარტები. მომხმარებლის დაკმაყოფილების ფსიქოლოგიური კანონზომიერება. საუბრის მართვის ტექნიკები - აქტიური მოსმენა, შეკითხვების დასმა. ნეგატიური ინფორმაციის გადაცემის ტექნიკა. რთულ, უკმაყოფილო მომხმარებელთა მომსახურების სპეციფიკა.	**600**	
7	ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	**II**	ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები საქართველოში - ადმინისტრირება და მარეგულირებელი კანონმდებლობა. ქონების კაპიტალიზაცია და დაბეგრვა. მოსაკრებლები და მომსახურების საფასური. ადგილობრივი	**600**	

						მოსაკრებლებისა და მომსახურების საფასურის ადმინისტრირება.		
8	სტრატეგიული დაგეგმვა და რეგიონალური განვითარება	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. რეგიონალური განვითარების სტრატეგიები. რეგიონალური სამოქმედო გეგმების შემუშავება. სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები. მონიტორინგი და შეფასება. ინდიკატორების განსაზღვრა. მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო გეგმა და შედეგების ანგარიშგება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა.	**600**	
9	ადაპტირებული გარემოს სტანდარტები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	I	ადაპტირებული გარემოს - უნივერსალური დიზაინის აუდიტი: კვლევა/ანალიზი - საჭიროებისა და შესაძლებლობების დადგენა მოცემულ ობიექტზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა - საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი), გაეროს შშმ პირთა კონვენცია. შშმ მომხმარებლებზე ორიენტირებული დამხმარე ტექნიკური აღჭურვილობები. შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის საშუალებები. ინკლუზიური ტურიზმის მენეჯმენტი - კონცეფცია და მართვა.	**600**	

10	მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოება. მშენებლობის პროცესის ზედამხედველობა. სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოება. მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება. უწყებრივი რეესტრის წარმოება.	**600**	
11	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი საკითხები	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები, პრიორიტეტების დოკუმენტის არსი. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სელექცია და სისტემატიზაცია. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზის მეთოდები.	**600**	

						მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასება,დასახლებათა საერთო კრებებზე განხილვების შედეგად განსაზღვრული დასახელებების პრიორიტეტების შედარებითი ანალიზი. პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების, კორექტირებისა და მიღების პირობები და წესები.		
12	მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის და ჯანდაცვის საკითხები	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. ეფექტური და პროდუქტიული რეფერირების მეთოდიკა. სოციალურ კატეგორიაში არსებული ჯგუფების განსაზღვრა და მათთან ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები. სოციალური პროექტების განხორციელება და ახალგაზრდა მოხალისეების რესურსის გამოყენება.	**600**	
13	მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	I	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში. სივრცითი მოწყობის გეგმისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ინიცირება, შემუშავება და მართვა. ქალაქთმშენებლობითი კადასტრის წარმოება. სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება. ცალკეული ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დასკვნების მომზადება. ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები და წესები.	**600**	
14	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	I	სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები და სახეები, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები. მეწარმეობის ხელშეწყობისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამები საქართველოში. მუნიციპალიტეტის როლი მეწარმეობის ხელშეწყობაში. ფონდების მოძიება და საგრანტო განაცხადის მომზადება. ბიზნეს იდეა და მისი შერჩევის/შეფასების მეთოდები. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი. საჯარო-კერძო თანამშრომლობა. ბიზნეს-ფორუმების, გამოფენა-გაყიდვების დაგეგმვა და ორგანიზება. მეწარმეებთან მუდმივმოქმედი კომუნიკაციის და შესაბამისი უკუკავშირის სისტემები. სამეწარმეო საბჭოების ფორმირება.	**600**	
15	ახალგაზრდობის საკითხების მართვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. ევროპული პრაქტიკა ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში. ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში	**600**	

						ახალგაზრდების მონაწილეობა. ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარება ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის. ახალგაზრდული პროექტების განხორციელება და რესურსების რუკა. მოხალისეობა და მოხალისეობის მართვა ახალგაზრდული ჯგუფებისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.		
16	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	ტურიზმის რაობა, სახეები და მიმართულებები. მუნიციპალიტეტში ტურისტული გარემოს შესწავლა და პრიორიტეტების დასახვა. ევროპული გამოცდილება ტურიზმის პოლიტიკის სფეროში. საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ. მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსების მოძიება, რესურსების რუკის შექმნა. პიარი, საინფორმაციო კომპანიები, ინფო-ტურები, ფესტივალები და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება. ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ტურისტულ ობიექტებთან, სამომავლო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვა და მონიტორინგი.	**600**	
17	საჯარო მმართველობის ღიაობა და მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დანიშნულება და სამართლებრივი რეგულაციები. ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულაციები. დასახლების საერთო კრების სტატუსი და უფლებამოსილებები. პეტიცია. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის სესახებ ანგარიშის მოსმენა.	**600**	
18	საზოგადოებასთან ურთიერთობა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისა და ტაქტიკის დაგეგმვა. პრეს-რელიზის შედგენა, ღონისძიებების მოწყობა(პრესკონფერენცია, ბრიფინგი). საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტების საკომუნიკაციო კრიზისების მართვა და საზოგადოებრივი აზრი. საკომუნიკაციო არხების შექმნის საფუძვლები დომენი, ჰოსტი, ინფორმაციის უსაფრთხოება და ადმინისტრირება.	**600**	
19	შიდა აუდიტი	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	შიდა აუდიტის არსი, მიზანი, ამოცანები, სახეები. შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელება დაწესებულების წინაშე მდგარი რისკების შეფასების საფუძველზე	**600**	

						მომზადებული შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმის მიხედვით. ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად. ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, რეკომენდაციების ჩამოყალიბება და მათი შესრულების მონიტორინგი.		
20	ადამიანური რესურსების მართვა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	I	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება.სამუშაოს აღწერილობათა შემუშავება. კონკურსის ორგანიზება. სამსახურში მიღება. ადამიანური რესურსების მართვის პროცესის ადმინისტრირება. შესრულებული სამუშაოს შეფასება. წახალისების საქმეთა წარმოება. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საქმეთა წარმოება. სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საქმეთა წარმოება. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება. თანამშრომელთა სწავლების დაგეგმვის ორგანიზება.	**600**	
21	სახელმწიფო შესყიდვები	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	სახელმწიფო შეყიდვების არსი. სატენდერო კომისიის წევრების უფლება-მოვალეობები. ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესები და გამონაკლისი შემთხვევები. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანიშნულება, მომზადების, მასში ცვლილებების შეტანის ვადები და წესები. სატენდერო დოკუმენტაციის მნიშვნელობა, მისი შედგენისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი. ტენდერში მონაწილეთაგან გამარჯვებულად გამოვლენის ან დისკვალიფიკაციის მინიჭების წესი. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მომზადება და მასში ცვლილებების შეტანის წესი. გამარტივებული შესყიდვა. კონსოლიდირებული ტენდერი. კონკურსი. შავი და თეთრი სია. დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები.	**600**	
22	სამხედრო გაწვევის საკითხები	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	I	,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. პოლიციასა და სასამართლოსათვის საქმის გადაცემის ძირითადი პირობები და წესები. დარგობრივი ზედამხედველობის	**600**	

						განმახორციელებელი სტრუქტურისათვის ანგარიშის წარდგენის წესები და შედგენის პრინციპები. გამწვევი კომისიის ოქმის წარმოების თავისებურებანი. გაწვევის უწყების ჩაბარების წესები და პრინციპები.		
23	სამართლებრივი აქტების მომზადების ტექნიკა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	საკანონმდებლო აქტისა და მისი განმარტებითი ბარათის პროექტის მომზადების ტექნიკა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებისა და მისი განმარტებითი ბარათის პროექტის მომზადების ტექნიკა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მომზადების ტექნიკა. მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების ტექნიკა.	**600**	
24	კულტურის სფეროს მართვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	2 დღე	II	მუნიციპალური კომპეტენციები კულტურის სფეროში. კულტურის რესურსების აღწერისა და მონაცემების დამუშავების მეთოდოლოგია. კულტურის ცალკეული (მუნიციპალური მუზეუმები, კულტურის სახლები და სხვა) მიმართულებების დაგეგმვა და განვითარება. ღონისძიებების (გამოფენა, ფესტივალი, სამუზეუმო ღონისძიება და სხვა) მენეჯმენტი.	**600**	
25	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	1 დღე	II	საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვა მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნებასთან/მართვასთან მიმართებით. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სპეციალური ნორმები არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან მიმართებით.მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის თავისებურებანი - პრაქტიკული საკითხები. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა დაფუძნებული იურიდიული პირების მხრიდან.	**600**	
სულ							**15000**	